
არსებული ხე-მცენარეების აღრიცხვა



საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

DEMASO WOOD 1

მისამართი: ***ქ. თბილისი, ქუჩა ფეიქრები, N14*** ▪ *ს/კ:* ***01.11.19.001.004***
მესაკუთრე: ***შპს "თბილისი ორიენტალი"***
ფართობი: ***1043 მ²*** ▪ *შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა:* ***4***

<u>დასკვნა</u>

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2024 წლის 23 იანვარს, ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩის N14 მისამართზე, შპს "თბილისი ორიენტალის" საკუთრებაში არსებულ, ს/კ 01.11.19.001.004 მიწის ნაკვეთზე, 4 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 4 მერქნიანი მცენარიდან 2 არის ჯანსაღი, 2 - ხმობადი. მათ შორის:

- 3 დაბალი ღირებულების ფოთლოვანი (2 ხმობადი, 1 ჯანსაღი) - <u>თუთა (Morus)</u> NN 1 (ხმობადი), 2 (ხმობადი), 4 (ჯანსაღი)
- 1 მაღალი ღირებულების ფოთლოვანი - <u>თელა (Ulmus minor)</u> N 3 (ჯანსაღი)

2. საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. აღიწერა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული 1 მცენარე, კერძოდ:
- 1 თელა (Ulmus minor) N 3

3. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. სულ გამოვლინდა 2 არაჯანსაღი (ხმობადი) მცენარე, კერძოდ:
- 2 თუთა (Morus) NN 1 (ხმობადი), 2 (ხმობადი)

4. გადარგვადი მცენარეები. გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი და კარგად განვითარებული, არ იყოს წვერხმელი, არ გააჩნდეს გულის სიდამპლე ან დაავადება, ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 %-ს, არ იყოს გადაბერებული/ამორტიზებული. თუ ასეთი ხეების გადარგვა მოხდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში, გადარგვისა და შემდგომი მოვლის სათანადო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით და თუ ადგილი არ ექნება მათზე ძლიერ მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას, მაშინ მათი გადარგვის შემდგომი გახარების ალბათობა იქნება ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებით, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, გადარგვას შეიძლება დაექვემდებაროს 2 შეფასებული მცენარე - <u>1 თუთა</u> (Morus) N 4 და <u>1 თელა</u> (Ulmus minor) N 3. მათგან, **25 სმ-ზე მეტი დიამეტრის არის 1 ინდივიდი:**
- 1 თუთა (Morus) N 4

მცენარეთა მახასიათებლები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

№	მცენარის დასახელება	<u>დიამეტრი (სმ) მიწიდან:</u>		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	თუთა (Morus)	32	3.2	3.0	ხმობადი/ ხმობად კუნძზე ამონაყარი/ ბეტონის კონსტრუქციაში
2	თუთა (Morus)	38	3.2	3.0	ხმობადი/ ხმობად კუნძზე ამონაყარი/ ბეტონის კონსტრუქციაში
3	თელა (Ulmus minor)	6.4	3.2	2.5	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
4	თუთა (Morus)	48	38	9.5	საღი/ გადარგვადი

დოკუმენტს დანართად ახლავს ფოტოსურათები.

ექსპერტი: ლევან გოშაძე (01008013049)

შემსრულებელი:
შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com
(+995) 593 18 18 70

№2401-521 საექსპერტო დასკვნის
დანართი - ფოტოდოკუმენტაცია



№1



№2



№3



№4

დემასო ვუდ 1 ▪ demasowood@gmail.com ▪ (+995) 593 18 18 70

განმარტებითი ბარათი

გამწვანების პროექტი შედგენილია გარემოს დაცვის წერილის საფუძველზე
(ნომერი: 18-01242282615 თარიღი: 15/08/2024)

ამჯერად ნაკვეთზე აღრიცხულია 4 ერთეული არსებული ხე-ნარგავი. პროექტით გათვალისწინებულია:

ორი მცენარის მოჭრა **(#1,2)**
ერთი მცენარის გადარგვა **(#3)**
ერთი არსებული მცენარის შენარჩუნება **(#4)**
ხოლო 2 მცენარის საკომპენსაციოდ დარგვა **(#1,2)**

საპროექტო კ3 კოეფიციენტის ფართობი შეადგენს 75.4 კვ.მ.

4 ხე-მცენარე სრულად ითვისებს კ-3 კოეფიციენტს.



საპროექტო ორგანიზაცია 4MA architects ს.ნ. 404544445	საპროექტო ჯგუფი ა. მგალობლიშვილი ა. სულაბერიძე ლ. ქობულია მ. სამარღანიშვილი	ობიექტის მისამართი ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა #14 ნაკვეთი: 01.11.19.001.004	დასახელება **გამწვანების პროექტი** **გამწვანების პროექტი**		მასშტაბი 1:250 ფურც. ზომა A3 თარიღი 2/21/2025

გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს „ლოჯისტიქს სოლუშენს“ 404525260

საპროექტო ტერიტორიის მისამართი: ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა #14
ნაკვეთი: 01.11.19.001.004

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

კ-3 / 0.1 / 75.4 კვ.მ.

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი: 20/02/2025

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 20/08/2025

ხე-მცენარეების სახეობა:

1 ძირი - თუთა (შენარჩუნებული არსებული)
1 ძირი - თელა (გადასარგავი)
2 ძირი - საკომპენსაციოდ დარგული

ხე-მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელია: შპს „ლოჯისტიქს სოლუშენს“ 404525260

ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი



